განმარტებითი ბარათი

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ"

საქართველოს კანონის პროექტზე

ა). ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

უმაღლესი განათლების სფეროში არ არსებობს სწავლის საფასურის გადახდის გარდა სტუდენტებისათვი ალტერნატიული მექანიზმები რათა შეძლონ შესაბამისი განათლების მიღება. ამავე დროს დაახლოებით 33 000 სტუდენტს სწავლის საფასურის გადაუხდელობის გამო შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიღების მიზანს წარმოადგენს სტუდენტებისათვის დამატებითი სტიმიულის მიცემა, რათა მათ შეძლონ სრულფასოვანი უმაღლესი განათლების მიღება სწავლის საფასურის გადახდის სანაცვლოდ.ახალგაზრდების მოქალაქეობრივი თვითშეგნების კულტურის ამაღლება. თანამედროვე სახელმწიფოს ფუძემდებლური პრინციპის უფლებებისა და მოვალეობების ურთიერთმიმართების ჰარმონიზაციის ხელშეწყობა. სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანია ხელი შეუწყოს იმ კულტურის დანერგვას, როდესაც ქვეყნისთვის, საზოგადოებისთვის გაწეულ სამსახურს სახელმწიფოს მხრიდან ადექვატური დაფასება მოსდევს.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის არსს წარმოადგენს სტუდენტებმა სწავლის საფასურის გადახდის სანაცვლოდ ალტერნატიული საშუალებით შეძლონ უმაღლესი განათლების მიღება.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

დაფინანსების წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტი.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვის ნაწილზე:

წინასწარ სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოსაყოფი თანხების მოცულობის დადგენა შეუძლებელია, ვინაიდან ძნელია წინასწარ განისაზღვროს რამდენი სტუდენტი ისარგებლებს სწავლის საფასურის გადახდის ალტერნატიული მექანიზმით.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტით მოსალოდნელი ფინანსური შედეგი იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტი არ აუარესებს ფინანსურ მდგომარეობას.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტით არ ხდება გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის განსაზღვრა.

გ). კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ). კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

პარლამენტის წევრი - სერგო რატიანი

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

პარლამენტის წევრი - სერგო რატიანი